ხელშეკრულება №65
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **11 / მარტი / 2019 წელი**

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - მამუკა შამილიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ქარაბაკი“ შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ჭოტაშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - **ავეჯის შეკეთების მომსახურების შესყიდვა (CPV-50850000) შესყიდვა** (შემდგომში - „მომსახურება“);

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2430** (ორიათას ოთხას ოცდაათი) ლარს;

მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
თერთმეტ საბავშვო ბაღში არსებული სამზარეულოს მაგიდების სტალეშნიცის დაზიანებული ზედაპირების გამოცვლა, ახალი, ზომით 170*60 სმ ზედაპირებით	ცალი	19	120	2280
საბავშვო სათამაშო სამზარეულოს კარადის გადაკეთება	ცალი	3	50	150
ჯამი				**2430**

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 გაწეული მომსახურების მიღება ფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და ფორმა

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 5(ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

5.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება შემდეგ საბავშვო ბაღებში:

საბავშვო ბაღი №1	**ზ.გორგილაძის ქ. № 25**
საბავშვო ბაღი №2	**ვ. ფშაველას ქN5**
საბავშვო ბაღი №3	**ვ.გორგასალის ქ. № 51**

საბავშვო ბაღი №6	**ინასარიძის ქ. №22 ა**
საბავშვო ბაღი №9	**ფიროსმანის ქ. № 9**
საბავშვო ბაღი №14	**ვ. ფშავალას ქ. №83**
საბავშვო ბაღი №15	**ჭავჭავაძის ქ. №65**
საბავშვო ბაღი №16	**პუშკინის ქ. №113**
საბავშვო ბაღი №22	**თამარ მეფის გამზ. I შეს. №4**
საბავშვო ბაღი №28	**ადლიის დასახლება**
საბავშვო ბაღი №32	**ფრიდონ ხალვაშია 12 ჩიხი**
საბავშვო ბაღი №33	**მამია ვარშანოძის 1 შესახვევი**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2. მომსახურების გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან მომსახურებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.2.2. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.4.2. გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი - ჯაბა ცხადაძე;

7.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეებს, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

9.2 მხარეს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.3 მხარეს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა გონივრული ვადა.

11.2 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

13.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2019 წლის 11 მარტიდან - 2019 წლის 20 აპრილამდე;

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ა/ნ 740737005

მამუკა შამილიშვილი

მიმწოდებლი:
შპს „ქარაბაკი“
მის : ქ. ბათუმი, სერგი მესხის ქ№34
საიდენტიფიკაცო კოდი: 428 520 451
სს ,,თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ: GE55TB 7694 0360 8010 0003

ნინო ჭოტაშვილი

kindergartens union of Batumi

Digitally signed by kindergartens union of Batumi
Date: 2019.03.12 10:43:52 +04'00'